ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი 7 მარტი 1996

კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 39 (333) ფასი 40 თეთრი

საქართველო

სამიტის შეთანხმება არ სრულდება

სააგენტოს კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ მოსკოვის სამიტის შეთანხმება სეპარატისტული რეჟიმის ბლოკადის შესახებ პრაქტიკულად არ სრულდება, რაზედაც ნათლად მეტყველებენ ფაქტები. კერძოდ ის, რომ მოსკოვში კვლავ ფუნქციონირებს აფხაზეთის წარმომადგენლობა, რომელიც მალე ახალ მისამართზე გადავა. 14-დან 24 თებერვლამდე აფხაზეთში რუსეთიდან ბენზინმზიდებით შეიტანეს 700 ტონა საწვავი, მომდევნო ორი თვის განმავლობაში დაგეგმილია კიდევ 800 ტონის შეტანა.

იმავე წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში აფხაზ სეპარატისტთა ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ დაატოვებინონ მათ სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე კი განალაგონ თავიანთი საჯარისო ფორმირებები.

სოჭხეთის ელჩი უარყოფს

აფხაზეთია ავტონომიური რესპუბლიკის პრეს-ცენტრიდან მოწოდებულ იხუ ქაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ერევნის სამედიცინო ცენტრ „ერებუნიში" აფხაზი ბოევიკების მკურნალობას, სააგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა სომხეთის ელჩს საქართველოში ლევონ ხაჩატრიანსა. რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. მისი თქმით, სამედიცინო ცენტრი „ერებუნი" აშენებულია უცხოელი სპეციალისტების მიერ და იქ სამკურნალოდ მოხვედრა ხდება მხოლოდ კომისიის თანხმობით, რომელშიც შედიან გერმანელი სპეციალისტები, ნითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის წარმომადგენლები. სომხეთს ამ კომისიაში ეკუთვნის მხოლოდ 2 ხმა. მკურნალობა ფასიანია. საქართველოსათვის სამედიცინო ცენტრ „ერებუნიში" მკურნალობის კვოტა 1996 წლისათვის შეადგენს 6 კაცს.

სერგო თუნგია — აფხაზეთის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი

რატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა ზურაბ ერქვანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე დამტკიცდა აფხაზეთის 1996 წლის ბიუჯეტის პროექტი. როგორც აფხაზეთის ფინანსთა მინისტრმა ბესარიონ ნაყოფიამ აღნიშნა, ახალი ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. თუ 1994 წლის ბიუჯეტი 10 000 საშტატო ერთეულს აფინანსებდა, ხოლო 1995 წლის — 5 085-ს 1996 წლისთვის დაგეგმილია მხოლოდ 3 642 ერთეულის დაფინანსება. ფინანსების უქონლობის გამო ბევრ პროექტზე უარი უნდა ითქვას,- განაცხადა მან. სხდომაზე წარადგინეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი სერგო თუნგია.

იშრიდა

განგაში

ექსპერიმენტალური ბაჭიების ქვეყანა

წყალი - ფეკალური, ლიმონათი - ფალსიფიცირებული, არაყი - მომწამლავი... მოსახლეობა - გაბითურებული

■ თუ თქვენ დალევთ „ჯორჯიან სეკტს", „ქინძმარაულს", „წინანდალს", „ოჯალეშს", „ხვანჭკარას"... ადვილი შესაძლებელია, უმალ გადასახლდეთ იმ სამყაროში, საიდანაც ადარ ბრუნდებიან.

■ თუ თქვენ შეჭამთ ფოთლისა და კრასნოდარის ეტიკეტებით დაფასოებულ კარაქს — სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო გარანტიას გაძლევთ, რომ ნაწლავის ხლირით დაავადდებით!

და რადგან რესპუბლიკა საგანგაშო მდგომარეობაში აღმოჩნდა — ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქტის მომრავლების გამო, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსა და რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის ერთობლივ თათბირზე პირუთვნელი საუბარი გაიმართა.

აღმოჩნდა, რომ საქართველო ექსპერიმენტალური ბაჭიების ქვეყანაა

"ვა, შენდ, ცოცხალი ხარ, ტო!" – ცდების სერიალის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილი ვირთხის დანახვით ადფრთოვანებული ფრთიანი შემახილი შეგვიძლია ჩვენც გავიმეოროთ, როცა ქართული წარმოების სასმელით გაჯერებულ მეზობელს დავინახავთ...

საქართველო კარგა ხანია გახდა ქვეყანა, სადაც ვისაც სურს, როცა სურს და როგორც სურს, ისე ატარებს ცდებს – აბა, თუ გაუძლებენ კონფლიქტის ზონის ხელოვნურად ინსპირირებას, ეკონომიკური ექსპერიმენტის ჩატარებას, უშუქობას, უგაზობას, სიცივეს, ტრანსპორტობასო... იმდენი ქნეს, სანამ მხოფლიოში ერთადერთ ყინვაგამძლე ჯიშად არ ნამოგვაყალიბეს...

ახლა ჯერი საკვებზეა. ის არ გვყოფნის, რომ ათასგვარი უცხოური ვადაგასული პროდუქტით და ნახევარფაბრიკატით ვიკვებებით, საჭიროა დავადგინოთ – გაუძლებს თუ არა ერთი მუჭა ქართველი ათასგვარი დარდევით წარმოებულ საკვებს?

კონკრეტულად საქმეზე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ აირჩია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გზა, ქვეყანა გადავიდა იოლად ფულის შოვნის პრაქტიკაზე. ყოველი მეორე ქართველი ისე, თავისთვის ანარმოებს „პატარა ბიზნესს", რომელიც არანაირ კონტროლს და აღრიცხვას არ ექვემდებარება. აქამდე, როგორც ჩანს, ხელისუფლება და მთავრობაც თვალს ხუჭავდა საეჭვოდ გამრავალებულ ფალსიფიცირებულ საქონელზე, დღეს კი, როცა ბიუჯეტის შესახებ კანონში შავით თეთრზე ჩაიწერა, რომ საგადასახადო ინსპექციამ წელს ბიუჯეტში უნდა შეიტანოს 360 მილიონი დოლარის ოდენობა, ნათელი გახდა, რომ თუ ამგვარი ფალსიფიცირების ფაქტებიც არ აღმოაჩინეს, გეგმას (თუ ასე დავარქმევთ) ვერ შეასრულებენ და ამას... შესაძლოა, ზოგიერთის თბილი სავარძლიდან „ჩამოსმა" მოჰყვეს...

> **უხარიხო და წუნდებული აღმოჩნდა კერძო პირისგან ამოღებული კარაქი, რომელიც დაფასოებული იყო ფოთლისა და კრასნოდარის ეტიკეტებით. იგი დაავადებული იყო ნაწლავის ხლირით.**

შესაძლოა ჩემი ვარაუდი ვინმემ ცუდ ნათქვამად ჩამითვალოს, მაგრამ ფაქტია — დღემდე ამ საკითხისთვის ყურადღება არცერთ სამსახურს არ მიუქცევია. არავინ იცოდა, რამდენი მცირე საწარმო ასხამდა „ჯორჯიან სეკტს", როგორი ხარისხის იყო ეს პროდუქცია, აკმაყოფილებდა თუ არა დადგენილ სტანდარტებს. სახელმწიფომ „ნაუყრუა" დარღვევებს, რომ მცირე ბიზნესს „განვითარების" . საშუალება მისცემოდა. შედეგი — ქართველ „ბიზნესმენთა" უპასუხისმგებლობის აყვავება და უამრავი დაღუპული ადამიანი, რომლებიც ამ უპასუხისმგებლობას შეეწირნენ.

8 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება სურსათის გამოშვებაში ელემენტარული წესრიგის დამყარების შესახებ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ, ბოლოსდაბოლოს, დაიწყო სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ პრობლემისადმი.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში ჯამართულ თათბირზე, რომელიც საგადასახადო ინსპექციასთან ერთად ჩატარდა, საუბარი იყო ქართულ ბაზარზე მომძლავრებულ ფალსიფიცირებულ პროდუქციაზე, რომლის „აღმოჩენას", ოურმე, ძალზე დიდი დროს დასჭირდა, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს", თათბირზე მართლაც პირუთვნელი საუბარი გაიმართა. ითქვა, რომ ვინც თუნდაც ერთხელ იქნება შემჩნეული ფალსიფიცირებული ანუ გაყალბებული პროდუქციის გამოშვებაში, მკაცრად, თვით ქონების კონფისკაციითაც კი, დაისჯება.

რა უწყობს ხელს ფალსიფიკაციას?

ცნობილია ქართველთა ბუნება — რაც შეიძლება მეტჯერ მოატყუოს სახელმწიფო (თითქოს სახელმწიფო ზარალი მასვე არ აზიანებდეს). დღემალოს საგადასახადო ინსპექციას და მეტი ჩაიჯიბოს; ამაში, ალბათ, ბევრი დამეთანხმება, მაგრამ ამდენივე შეიძლება მკითხოს — რა უნდა გააკეთოს მცირე საწარმომ, რომელსაც მხოლოდ პურის ფულის შოვნა შეუძლია მენაჩის ბიუჯეტში? ალბათ, უპრიანია პროფესიონალებს მოვუსმინოთ. ვნახოთ, პურის ფული შეაქვთ საკუთარ ოჯახებში მენაჩრმეებს თუ ოფლიდური თანხა?

> **ტოქსიკოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა ვერც კი ბაამხილეს, იმდენად დიდია ფალსიფიცირებული ძროდუქციით დაღუპულთა რიცხვი.**

ბრიგოლ შონია, სახელმწიფო [illegible] დასახადიმსამსახურისუფროსი [illegible], ოპერატიული სამსახურის [illegible]

„დღეისათვის გაცემულია [illegible] მეტი სპეციალური ნებართვა [illegible]

გაგრძელება ეე 3 გვ.

შეკანასკნელ წუთს

მეოთხედფინალური შეხვედრები:

CHAMPIONS LEAGUE

დორტმუნდი—აიაქსი	0:2
რეალი— იუვენტუსი	1:[illegible]
ნანტი— სპარტაკი	2:0
ლეგია—პანათინაიკოსი	0:0

ბოკლედ

პურის ფასმა დაიკლო, ხარისხი...

თბილისის მერიის ბიეს-ცენტრის ცნობით, რესპუბლიკაში ფეტვრების უქონლობის გამო, პური გამოცხვება ხორბლისა და ჭვავის ფქვილის ნარევისგან, რაც იწვევს დღეკამდელი ფასების დროებით შეკვეცას. ხაჭითაველის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, 1996 წლის 7 მარტიდან დადგენილია პურის შემდეგი ფასები:

ჭეიჭარეული პური (უმაღლესი ხარისხის) 1 კგ. 44 თეთრი;

ჭეიჭარეული პური (პირველი ხარისხის) 1 კგ. 38 თეთრი.

ბიზნესმენები უკმაყოფილონი არიან

ბიზნესმენები უკმაყოფილებლობა ითანამედროვეებენ ბაკალეოლეებელი ინ-ლების ბიუი ბანმარეულად შეფასებებია, რაც ოფერების სიმაღლის ეკონომიკის ბარეულების და ხელის უქონის ინფლაციურ ზარალების ნორმალურ ფუნქციონირების ანსოლის დაკავშირებით ინფლაციის შეფასებ ეკონომიკა ბარეულად. რიგების ინფლაციას 15 მარტამდე ეკონომიკა ინფლაციის და ბაკალეოლეებლის ინფლაციის კონტროლის ბალანსის ეროვნული ეკონომიკა ბანკების ეროვნული ეკონომიკა ინფლაციის ეროვნული ეკონომიკა

ხანძარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ბუშინ, 3 საათსა და 10 წუთზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთექვსმეტე კორპუსის პირველ სართულზე გაჩენილ ხანძარს ფარების 2 თანამშრომელი ჩააქრეს. ხანძრისგან სხვადასხვა ხარჯებიანი ფეხი ბოლოსტენილია. ბალანსი. ხანძრის მიზეზად ელექტროგაყვანილობის ბოროტად ექსპლუატაცია ითვლება. ხანძარი ნაუფლეს 3 საათსა და 35 წუთზე ხანძრის [illegible] ბრიგადა და ბალანსის [illegible]

ეშიდან

პრესკონფერენცია

წლევანდელი ზამთარი გავიდა, მოგავლის გეშინოდეთ, ხალხო!

ამ პესიმისტურ განცხადებას, დარწმუნებულნი ვართ, დეპარტამენტ „საქენერგოს" შესეულნი არც ამჯერად დაეთანხმებიან. თუმცა, ფაქტია, რომ მათი დაპირებები, აღსარების მსგავსად წარმოთქმული იმედისმომცემი განცხადებები, მხოლოდ ფუჭ დაპირებადვე დარჩა და მათივე წყალობით, გზა ხსნისა ჯერ კიდევ არ ჩანს.

ცხადია, რომ „საქენერგოს" შესაბამისმა სტრუქტურულმა ქვეგანაყოფებმა, ხელმძღვანელმა პირებმა, ვისაც უშუალოდ ევალებოდა 1995-96 წლების ზამთრისთვის ენერგოსისტემის მომზადება, მოსალოდნელი ენერგოკრიზისის თავიდან ასაცილებლად, ვერ უზრუნველყვეს წინასწარი სამუშაოების დროულად და მაღალ დონეზე ჩატარება, სისტემატურად არ აწვდიდნენ მოსახლეობას ობიექტურ ინფორმაციას ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილ მდგომარეობაზე. თუმცა, დღესაც, შექმნილი მწვავე სიტუაციიდან გამომდინარე, „საქენერგოს" ცალკეულ ხელმძღვანელ პირს, რატომღაც, მაინც არ სურს, აღიაროს მოსამზადებელ სამუშაოებში დაშვებული ხარვეზები და კვლავ ჯიქურ ცდილობს მისგან ათასგზის გაწბილებული მოსახლეობის და ხელისუფლების გაცურებას.

ამ მნიშვნელოვან საკითხებს მიეძღვნა შემაჯამებელი პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ მოქალაქეთა კავშირის ენერგოკრიზისიდან გამოსვლის ხელშემწყობი შტაბის ინიციატივით გაიმართა. შტაბის მიერ სამი თვის განმავლობაში გატარებული ღონისძიებებისა და მოპოვებული ინფორმაციის 'საფუძველზე, დანაშაულებრივ დარღვევათა, დარგის შესაბამის სტრუქტურათა შორის არაკოორდინირებული მუშაობის მრავალი ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, გამოვლინდა „თელასის" ზოგიერთი მუშაკის მიერ მოქალაქეებისთვის ტრანსფორმატორების, ელექტროკაბელების მიყიდვის ფაქტები, მაშინ, როცა „თელასის" ხელმძღვანელობამ მოსახლეობას ელექტროენერგიის დანადგარების უხასყიდლოდ მიწოდება აღუთქვა; ელექტროენერგია გამოხმაურებულად არ მიენოდება სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს: საავადმყოფოებს, პურის ქარხნებს. ეს შეიძლება, მხოლოდ ნვრილმან „ხარვეზებად" მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ენერგოსისტემაში დაშვებულ გლობალურ შეცდომებს, მათი ძირისძირამდე ჩანვდომა, „საქენერგოს" საქმიანობას რეალურად აყენებს ეჭვქვეშ.

> **ინფორმაციისათვის:**
> **დაამუშავებულია: 13 მილიონი ბარელი თბილისის ელექტროსადგურების ძველი ბოილერის ეზოსულფატად.**
> **18 მილიონი ბარელ ბარელის ინფორმაციისა ეზოს ქალაქის საქმეთა სამუშაოებად და საკანონმდებლო ბილიოთეკად.**
> **30 მილიონ ამერიკელი დოლარი ელექტროენერგიის ფასად ნეტრი, ეარცხე, ხოლ 2, ტაბულის ხარვეზის ტუშინოდ.**
> **10 მილიონ ამერიკელი დოლარი ფასად ბიბლიოელექტროსადგურზე ხარეშოსტეო ხაჭუმაოების ჩასატარებლად.**

ვინ არის ფირმა „ალიანსი" და რა ინტერესები აქვს საქართველოში?

ენერგოკრიზისიდან გამოსვლის ხელშემწყობი შტაბის ხელმძღვანელმა მიხეილ მენთეშაშვილმა ვრცლად ისაუბრა მწყობრიდან გამოსულ ენერგობლოკებზე ჩატარებული კაპიტალური სარემონტო სამუშაოების შესახებ. ოფიციალური მონაცემებით, მე-3 ენერგობლოკის შეკეთება, რომლის ნოშინალური სიმძლავრე 150 მეგავატია, 5,1 მილიონი ლარი დაჯდა, ხოლო მე-8 ენერგობლოკის შეკეთება — 4 მილიონი ლარი. მიუხედავად ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად სანვავის ხარჯი 20 პროცენტით გაიზარდა. ინსტრუქციით, ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის წარმოებას კი, 370 გრამი სანვავი სჭირდება. სანვავის ხარჯის გაზრდა უხარისხოდ ჩატარებული კაპიტალური რემონტის უტყუარი დასტურია. მართალია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა გაიხარჯა, მაგრამ ეფექტური შედეგი არ ჩანს (!) სამაგიეროდ, ნათლად ჩანს „საქენერგოს" „ღვანლი" ენერგოკრიზისის დაძლევაში რუსეთის ფირმა „ალიანსთან" ურთიერთობისას.

ეს ის ფირმა „ალიანსი" გახლავთ, რომელმაც მე-8 ენერგობლოკზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება „იტვირთა". მან მიერ „განეულ მუშაობას" დადებითი შეფასება მიეცა „საქენერგოს" ხელმძღვანელთაგან. უფრო მეტიც, ფირმა „ალიანსის" მიმართ ნდობის დასტურად, „საქენერგოს" ხელმძღვანელობამ ზემოხსენებულ ფირმასთან ახლახან დაასრულა მოლაპარაკება მე-5 ენერგობლოკის შეკეთებაზეც. „ამიტომაც, არ არსებობს არავითარი გარანტია, იმისა, რომ მომავალი ზამთარი წლევანდელზე უკეთესი იქნება", — განაცხადა მიხეილ მენთეშაშვილმა.

გიორგი ბარამიძე, პარლამენტარი:

გაგრძელება ეე 2 გვ.

ახალი საზღვარგარეთი

ჩეჩენმა მებრძოლებმა დაიბრუნეს გროზნოს რამდენიმე რაიონი. მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები

გუშინ ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში შეიჭრა რამდენიმე ასეული ჩეჩნი მებრძოლი. დღის პირველ ნახევარში, მათ, ფაქტობრივად, მოახერხეს ფედერალური ძალებისა და ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ნეიტრალიზება. ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, რომ ორივე მხრიდან არის მსხვერპლი, დაიღუპნენ მშვიდობიანი მცხოვრებლებიც. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ქალაქზე თავდასხმა ოთხი მხრიდან განხორციელდა. თავდაპირველად, ჩეჩნებმა შეუტიეს ფედერალური ჯარების ბლოკპოსტებს. მოულენათა უეცარმა განვითარებამ დაანია რუსი სამხედროები.

რუსეთის საინფორმაციო წყაროების ცნობით, ყველაფერი წინასწარ დამუშავებული გეგმით ნარიმართა. დუდაეველთა ოპერაცია დაიწყო ღამის 3 საათზე, ოქტომბრის, საქარხნო და სტაროპრომისლოვსკის რაიონების საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე თავდასხმით. საგენტობის ინფორმაციებში მოხსენიებულია ლენინის რაიონიც. აქ მდებარეობს მოედანი „შინუტკა", სადაც განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობდა.

გაგრძელება ეე 2 გვ.

გარდაიცვალა სალმან რადუევი

როგორც გუშინ გატყობინებდით, ურუს-მარტანთან თავის არეში მძიმედ დაიჭრა ყიზლარისა და პერვომაისკოეს ოპერაციების მეთაური, სალმან რადუევი. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, რადუევი გუშინვე მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

მსოფლიო

რობერტ დოულის ტრიუმფი

სამშაბათს აშშ-ის რვა შტატში: კონექტიკუტში, მენში, მასაჩუსეტში, როდ-აილენდში, ვერმონტში, ჯორჯიაში, კოლორადოსა და მერილენდში გაიმართა ე.წ. წინასწარი არჩევნები (პრაიმერიზები), სადაც „თამაშდებოდა" რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური ყრილობის 226 დელეგატის ხმა, მაგრამ სანამ სამშაბათის პრაიმერიზების შედეგებს შეეხებოდეთ, გავიხსენოთ, რა მდგომარეობა იყო ბოლო ხნის მანძილზე რესპუბლიკელების ბანაკში.



უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სენატორ ბობ დოულის დიდი ტრიუმფი. მიუხედავად წარსულში რამდენიმე წარუმატებლობისა — ნიუ-ჰემპშირში მან ბიუკენენმა 4 ...ით გაუსწრო (ბიუკენენი — 27% (56,450), დოული — 26% (54,041)), ხოლო არიზონაში დოული ფორბსმა დაამარცხა (ფორბსი — 34% (103,396), დოული — 29% (90,079)), იგი, შემდგომში, რომ იტყვიან, სიმაღლეს სიმაღლეზე ილებდა და შეძლო მნიშვნელოვნად ჩამოეტოვებინა უკან რესპუბლიკელთა ყველა სხვა დანარჩენი პრეზიდენტობის კანდიდატი. გასულ კვირას მან გამარჯვება მოიპოვა სამხრეთ კაროლინაში, ვაიომინგსა და პუერტო-რიკოში გამართულ წინასწარ არჩევნებში.

შაბათს, სამხრეთ კაროლინაში, 72 წლის კანზასელმა სენატორმა ხმების 45% მოაგროვა და მნიშვნელოვნად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ პატ ბიუკენენს (29%). მათ მოსდევდნენ მილიონერი გამომცემელი სტივ

გაგრძელება ეე 2 გვ.

წლევანდელი ზამთარი გავიდა, მომავლის გეშინოდეთ, ხალხო!

პირველი გვერდიდან

„მწვავე ენერგოკრიზისზე პასუხი უნდა აგონ „საქენერგოს“ იმ წარმომადგენლებმა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ზამთრის პერიოდში ენერგოსისტემაში სავალალო მდგომარეობის თავიდან აცილება. ფაქტია, რომ [illegible] სახლეობის [illegible] გამოდიოდა [illegible] ... ტაციის შეკვანე [illegible] სული ფირმა, [illegible] ვითომდაც აწყობ [illegible] ენერგოსისტემა [illegible] ... ამავე [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მსოფლიო

ბუტროს ღალის პოზიცია

ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბუტროს ღალი ოფიციალური ვიზიტით მექსიკაში იმყოფება. იქ გამოსვლისას, მან მხოფლიო საზოგადოებას ტერორიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისკენ მოუწოდა, კერძოდ, აღნიშნა: „ისრაელში, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის" მიერ მონყობილი ტერაქტები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ტერორიზმმა კვლავ წამოყო თავი". ბუტროს ღალი იმედოვნებს, რომ ისრაელში მომხდარი უბედურებები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესზე.

პრეზიდენტის ჰუმანური ნაბიჯი

ფრანს-პრესის ცნობით, ბილ კლინტონმა კონგრესს შესთავაზა, დამატებით 52 მილიონი დოლარი გამოყოს შიდსით დაავადებული ბავშვებისთვის მედიკამენტების შესაძენად. ეს თანხა ჩაიდება პროგრამა „რაინ უაიტში". პროგრამას 12 წლის შიდსით გარდაცვლილი ბიჭის სახელი ჰქვია და 55 ათასი ინფიცირებული ბავშვის დახმარებაზეა გათვლილი.

სანქციები კუბის წინააღმდეგ

ამერიკის სენატში განიხილებოდა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, გამკაცრდება ეკონომიკური სანქციები კუბის მიმართ. აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი ადრე ამ ზომების წინააღმდეგი იყო, მაგრამ კუბელების მიერ ორი ამერიკული სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, თვითონ „წაიქეზა" სენატი ახალი კანონპროექტის მისაღებად.

ეს კანონპროექტი საშუალებას მისცემს ამერიკის სასამართლოებს, აღძრან სარჩელი უცხოური კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც მოგებას კუბელი წარმომობის ამერიკელების კუბაში არსებული საკუთრებიდან იღებენ. ვარაუდობენ, რომ ანალოგიურ კანონპროექტს ამავე კვირაში მიიღებს წარმომადგენლობითი პალატაც, რის შემდეგაც იგი ხელმოსაწერად წარედგინება ბილ კლინტონს. პრეზიდენტმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ აუცილებლად მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს, რადგან კუბელების მიერ ამერიკული თვითმფრინავების ჩამოგდება, დაუყოვნებლივ და გადამჭრელ პასუხს მოითხოვს.

ამერიკის სენატი „წყალობის თვალით" უყურებს ანტიკუბურ კანონპროექტს, მიუხედავად კანადის, რუსეთის და კარიბის ზღვის აუზის 14 ქვეყნის ოფიციალური მიმართვისა. ბრიუსელში გაავრცელეს ევროკომისიის განცხადება, რომელშიც გაკიცხულია კუბასთან ევროკავშირის ვაჭრობის შეზღუდვა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვაშინგტონის ეს ნაბიჯი ნიშნავს აშშ იურისდიქციის ქვეყნის გარეთ გავრცელებას.

მსჯელობა ჩინეთის მომავალზე

პეკინში გაიხსნა სრულიად ჩინეთის სახალხო კრების მე-8 მონვევის მე-4 სესია. მისი 3000 მონაწილე განიხილავს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს, ასევე ჩინეთის 1996 წლის ბიუჯეტის პროექტს. სესიის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ლი პენმა. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის აუცილებლობაზე. საერთაშორისო პრობლემატიკაზე საუბრისას კი აღნიშნა, რომ ჩინეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ბირთვული გამოცდის სრული შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შემუშავებაში. ლი პენმა გამოთქვა, აგრეთვე, რუსეთთან და დსთ-ს სხვა ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი.

სესიაზე გადაწყდა, რომ ჩინეთი ეკონომიკის განვითარების ექსტენსიური მოდელიდან ინტენსიურზე უნდა გადავიდეს. ქვეყანაში დანყებულმა მორიგმა ეკონომიკურმა რეფორმამ, როგორც ვარაუდობენ, დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე. მაგრამ ამას, ალბათ, თან მოჰყვება გარკვეული სიძნელეები: მოსალოდნელია ფასების მომატება 10 პროცენტით, ფულის ემისია კი 100 მილიონ იუანამდე გაიზრდება. პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ დარჩება ინფლაციასთან ბრძოლა. გასულ წელს მოხერხდა მისი 7 პროცენტით შემცირება. ერთი სიტყვით, ჩინეთში დიდი ენთუზიაზმით განაგრძობენ სოციალიზმის მშენებლობას. სესიის მუშაობა 17 მარტამდე გაგრძელდება.

სერბები გადიან

დაიწყო სერბების გამოყვანა იმ რაიონებიდან, რომლებიც დეიტონის შეთანხმების თანახმად, მუსლიმანურ-ხორვატიულ ზედამხედველობაში მოექცა. პაჯიჩის რაიონში, რომელიც მუსლიმანურ-ხორვატიული პოლიციის ხელში გადადის, 200-მდე სერბული ოჯახიდა დარჩა. მათი ევაკუაციისთვის მანქანების ბადრაგი გამოყოფილი. შეგახსენებთ, რომ სარაევოს 5 სერბული რაიონი 19 მარტამდე უნდა გადავიდეს მუსლიმანთა ხელში.

კორსიკა დანებდა?

დამოუკიდებელი კორსიკისთვის მებრძოლმა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ განაცხადა, რომ თმობს თავის პოზიციას, ცდილობს რა გაუმჯობესოს თავისი ურთიერთობები პარიზთან. ამ მოძრაობის მიერ საკუთარი ნებით ასეთი განცხადების გაკეთება სერიოზული ცვლილებაა მის სტრატეგიაში — ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულზე ბოლო წლებში მრავალი აფეთქება მოხდა და, როგორც ჩანს, კომპრომისიც მშვიდობისა და სიწყნარის სურვილითაა გამოწვეული, რათა ბოლო მოეღოს ძალადობას, რომელიც აქ საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

რუსები — აფრიკის ციხეში?

ზაირის დედაქალაქ კინშასაში დაიწყო ორი რუსი მფრინავის სასამართლო პროცესი. ისინი მართავდნენ თვითმფრინავს, რომელმაც 1996 წლის იანვარში ავარია განიცადა და ზაირის მოსახლეობის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია. სააგენტო „როიტერის" ცნობით, მფრინავების დანაშაული კვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა წინასწარი განზრახვის გარეშე. თუ სასამართლომ გაიზიარა ეს თვალსაზრისი, მაშინ რუს მფრინავებს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ელით. მათთან ერთად, სამხახურებრივი შოვალეობის შესრულებისას დაუდევრობის გამოჩენის გამო, სასამართლოს წინაშე წარსდგება ორი ზაირელი დისპეჩერიც.

საქმის მოსმენა 25 მარტისთვის არის დანიშნული.

განგაში

პირველი გვერდიდან

ან უალკოჰოლო სასმელების წარმოებაზე. ლიცენზირებულია კვების მრეწველობაც; ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა იყოს კვების პროდუქტების მოსახლეობისთვის მიწოდებისა და ბიუჯეტში შენატანების ზრდის მიმართეთ, მაგრამ საქმის შესწავლა სხვა სურათს იძლევა — გარდა იმ 200 ლიცენზიისა, რომელიც გაიცა (მხედველობაში არ მაქვს ქალაქის მერიის მიერ გაცემული ლიცენზიები, რომელთა რაოდენობა ათასს უახლოვდება), ამ საქმიანობას გაცილებით მეტი ორგანიზაცია ეწევა, ისინი, ვისაც საერთოდ არ გაუვლიათ რეგისტრაცია. ზოგიერთს აღებული აქვს ლიცენზია ერთი სახეობის პროდუქციის წარმოებაზე, აწარმოებს — მეორეს. აღმოჩენილია უამრავი დარღვევა: პროდუქციის ხარისხიანობისა და სტანდარტიზაციის კუთხით, საწარმოთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

მაგალითად:

ფირმა „გიო" (ხელმძღვანელი გივი იორამაშვილი) — ლიცენზია აქვს არყის ჩამოსხმაზე, ფაქტობრივად, ასხამს ლიმონათ „მსხალს", რომელიც არანაირ სტანდარტს არ შეესაბამება, ფირმა არ იხდის გადასახადს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რობი" — აწარმოებს არაყს, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, არ აწარმოებს ბუღალტერიას.

ფირმა „ზადა" — გადასახადებს იხდის არასწორად.

ფირმა „ნოსტალგია" — არ არის რეგისტრირებული, არ იხდის გადასახადს.

ფირმა „ქართული სახლი" — შუშხუნა ღვინო, რომელსაც ისინი აწარმოებენ, არ შეესაბამება სტანდარტებს.

ფირმა „ფაზისი" — უშვებს ლიმონათს, მეწარმეობას ეწევა ჩუღურეთის რაიონში, საგადასახადო აღრიცხვაზეა ისნის რაიონში, პროდუქცია სტანდარტებს არ შეესაბამება.

ფირმა „სიკო" — ლიცენზია აქვს წყნარი და შუშხუნა ღვინის წარმოებაზე, ასხამს „ხვანჭკარას", „ოჯალეშს", უკანონოდ იყენებს სამტრესტის ეტიკეტებს.

ამგვარივე დარღვევები აქვთ ფირმებს: „კოლხეთი", „გუგა", „კენარი", „მარჩილი", „ალავერდი", „მასპინძელი", ფონდი „თანადგომა", „გორი", „ჯვარი", „ზაზა-82" და ა.შ.

ერთი რამ ცხადია — ამ ფირმებისაგან სახელმწიფო ბიუჯეტში მიზერული თანხა შევიდა. უნდა შემოსულიყო მილიონ ლარზე მეტი, შემოვიდა 90 ათასი ლარი. ამ მდგომარეობამ განაპირობა აქციზების დაბალი შემოსავალი გასულ წელს.

... დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება რესპუბლიკის შამპანურის, ღვინის, არყისა და კონიაკის საწარმოებს, რომლებმაც. აშკარად 'დათმეს პოზიციები".

ბუნებრივია, ბატონ გრიგოლ შონიას აფიქრებს რესპუბლიკის ბიუჯეტში შეტანილი გადასახადების სიმცირე, რაც გასაგებია, მაგრამ ამის უკან უფრო გლობალური პრობლემა დგას — რატომ ემალებიან საგადასახადო ინსპექციას მეწარმენი? ალბათ, იმიტომ, რომ უზარმაზარი გადასახადი მათ პროდუქციას მეტად გააძვირებს, რითაც არაკონკურენტუნარიანნი გახდებიან ისევე, როგორც სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციაა დღეს. მათ უადვილდებათ ღვინის, არყის, ლიმონათის წარმოება, რადგან აუცილებელ კომპონენტებს, რომლის გამოყენებითაც უნდა ხდებოდეს სასმელების დამზადება, მათი პროდუქცია ან არ შეიცავს, ან შეცვლილია სხვა, ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებებით.

თემურ ჭელიძე —" საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ფალსიფიკატორები არავის ინდობენ, ოღონდ საკუთარი ჯიბე გაისქელონ.

მაგალითად :

უხარისხო და წუნდებული აღმოჩნდა კერძო პირისაგან ამოღებული კარაქი, რომელიც დაფასოებული იყო ფოთისა და კრასნოდარის ეტიკეტებით. კარაქი ინფიცირებულია ნაწლავის ჩხირით, რაც საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის.

არაყი „არაგვი" — გამოშვებულია ფირმა „ნიკალას" მიერ, შეიცავს ეთილის სპირტის ზომაზე მეტ რაოდენობას.

> მიხეილის ბერის იერ ლუდ-ლოგის რეპლიკიდან — „მიხე

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იქიდება

■ ერთოთახიანი იზოლირებული ბინა გამსახურდიას გამზირზე (ყოფილი პეკინის ქუჩა) ერთი ოთახის მიშენებით, ავტოფარეხით, ტელეფონით. ტელ.: 37-50-75.

■ ოროთახიანი ბინა, 40 კვ.მ. იზოლირებულია, ღია აივნით. ეზოთი, მეორე სართული. მისამართი: ლესელიძის ქ. №9 კაფე „მაუგლის" თავზე. ფასი 28 000 ლარი. ტელ.: 95-40-36. მარინა.

■ რეგისტრაციის მოწმობით, შტამპით და ბეჭდით, საწესდებო ფონდით 1500 დოლარით, თონით, აფთიაქით და აგრეთვე 152 კვ.მ. ოფისით და ამავე ფართობის სარდაფით, საწყისი ფასი 45000 ლარი. ტელ.: 39-87 91. იკითხეთ კაჯა. მისამართი: ნუცუბიძის ქ. №179.

■ ვაკეში, უნივერსიტეტის პირდაპირ სამოთახიანი კუთხის ბინა, ორი აივნით, ტელეფონით, საერთო ფართი 100 კვმეტრი. ფასი 85 ათასი ლარი. ტელ.: 22-65-33.

■ საბურთალოზე — იოსელიანზე 4-ოთახიანი ბინა მე-13 სართულზე. საერთო ფართი 110 კვ.მეტრი, ორი აბაზანა და ტუალეტი, დიდი ჰოლი, ტელეფონით, სარდაფით, აივნით. ფასი 50 ათასი ლარი. ტელ.: 36-76-06.

■ დიღმის მასივში 3-ოთახიანი ბინა ლოჯით, მე-4 ეტარტალი. მე-18 კორპუსი. მე-3 სართული. 24-ე ბინა. იკითხეთ ლამარა. ფასი შეთანხმებით.

■ ფალიაშვილზე დიდი ოთხოთახიანი სარემონტო ბინა, მესამე სართულზე 160 კვ.მეტრი. ანტრესოლი 25 კვ.მეტრი. ორი ტელეფონი, სარდაფი. ფასი 100 ათასი ლარი. ტელ.: 22-65-33.

■ დიდუბეში სამოთახიანი ბინა მიშენებით, გარემონტებული, ცხელი წყლით, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-28-05.

■ ან იცვლება აგარაკი ასურეთში, ნაკვეთები კვესეთში (ბეთანია) და სამგორის უოფილ საბჭოთა მეურნეობაში (ლილოს ბაზრობასთან) 1-2 წლის ძსუბუქ ავტომანქანაზე. ტელ.: 37-74-71.

■ მეტრო „ღრმაღელესთან" ოროთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა დაშენებული მე-9 სართული. ფართით 79 კვ.მ. სველი წერტილით ტელეფონით, სარდაფით და კაპიტალური გარაჟით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ტელეფონზე: 61-57-34, 95-73-59, 34-20-25 იკითხეთ ზაზა.

■ კერძო 3-ოთახიანი სახლი ნაძალადევის რაიონში, სარდაფით, ეზოში ავტოფარეხით. ლეჩხუმის ქუჩა №42. ტელ.: 66-24-31. იკითხეთ ეკა (საღამოს საათებში).

■ ოროთახიანი ბინა 40 კვ.მ. მეორე სართული, ღია აივნით. ეზოთი. მისამართი: ლესელიძის №9, კაფე „მაუგლის" თავზე. ტელ.: 95-40-36. იკითხეთ მარინა.

■ 3 ოთახიანი, იზოლირებული ბინა დიღმის მასივში (დიდუბის ნიდთან) მე-2 კვარტალი, მე-6ბ კორპუსი, მე-4 სადარბაზო, მე-8 სართული, მიშენებული ლოჯით 45 კვ. დაშენების უფლებით, ფასი 20 000 ლარი. ტელ.: 93-10-49 51-56-99 (მაიკო).

■ ათოთახიანი კერძო სახლი ეზოთი. ფასი 60 000 ლარი. მისამართი: ზემო ვეძისის დასახლება №103 (მარინა).

■ ერთსართულიანი საგარაკო სახლი 600 კვ.მ.ეზოთი, საუკეთესო ჭიშის მსხმოიარე ხეხილით, 1800 კვ.მ.ვენახით. გურჯაანის რაიონის სოფელ ჭიმითში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-81-52 ელენე (12 სთ-დან 18 სთ-მდე).

■ 6-ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში. ბინას აქვს დიდი სამზარეულო, ოთხი დამხმარე სათავსო, 2 ტუალეტი, დიდი აბაზანა, 2 აივანი, 2 სარდაფი და კაპიტალური ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გამსახურდიას გამზ. 37, მე-2 სად. ბინა 19. ტელ.: 37-17-78.

■ ერთოთახიანი ბინა გამსახურდიას გამზირზე, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, აივნით და ტელეფონით. ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 39-14-25 (ნელი).

■ 4-ოთახიანი სუფთა, ტელეფონიანი ბინა გლდანის პირველ მიკრორაიონში (მოსკოვის პროექტი), VIII სართულზე (9 სართულიანში), ფასი 8000 დოლარი, ცნობებისთვის დარეკეთ: 67-30-53 ან 66-43-98.

■ თბილისში ერთოთახიან ან ოროთახიან ბინაზე ოზურგეთში ორსართულიანი სახლი დიდი მიწის ნაკვეთით (5000 კვ.მ.), ტელ.: 23-35-26.

■ სოფელ ახალუბანში თბილისიდან 28 კმ-ის დაშორებით ორსართულიანი სახლი 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. 6000 ლარად. ტელ.: 93-17-71 დილის საათებში

■ ხუთოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან. საერთო ფართი 240 კვ.მ. ბინა დამთავრების სტადიაში, აქვს ავტოფარეხი 1 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-42-91

■ ან იცვლება გარემონტებული, პრივატიზებული, სამსართულიანი ბინა ზერეთლის გამზირზე, სინთლე მოდმივია. ცნობებისთვის დარეკეთ: 36-34-03 ან 39-24-52. იკითხეთ ეკა.

■ აგარაკი ერთსართულიანი ხუთოთახიანი ბინა 2500 კვ. მ. მიწის ნაკვეთით, კასპის რაიონი, სადგური მეტეხი. საწყისი ფასი 3 500 ლარი. ტელ.: 93-59-84

■ ვაჟა-ფშაველას №5-ში ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ექვს ოთახიანი ბინა, ლოჯით. ჭერის სიმაღლე 3,60, ფართობი 250 კვ.მ., ორი ტუალეტით, საშრეცხაოთი, საკუჭნაოთი, ტელეფონით და ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-54-96 (დოდო).

■ ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ბორჯომში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. გათბობის სისტემა და რუხული აბანო, ავეჯით. ფასი 25 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

■ არსტანდარტული, გარემონტებული 4-ოთახიანად გადაკეთებული 3-ოთახიანი ბინა ორმხრივი აივნით. ოთახთა ფართი: 28 კვ.მ., 16 კვ.მ., 15 კვ.მ., 11 კვ.მ., ლოჯია 18 კვ.მ. რკინის კარებით. მუდმივი ცხელი წყლით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საბურთალოს ქუჩაზე. ტელ.: 38-11-02.

■ დაბა ხარაგაულში (ვაჟა-ფშაველის ქ.№ 9) ორსართულიანი კაპიტალური სახლი, გარაჟით, დამხმარე სათავსოებით, საბალე მიწის ნაკვეთით, ტელეფონით. მსურველებმა დარეკონ ხარაგაულში: 2-15-42. თბილისში: 37-55-39 (ნათელა).

■ წყნეთში ორსართულიანი კორპუსის I სართულზე ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, ავტოფარეხით, საბოსტნე ადგილით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის, მიშენების პერსპექტივით. ტელ.: 29-86-56 ან 73-78-90. ფასი შეთანხმებით.

■ საბურთალოზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან" სამოთახიანი, ახლადგარემონტებული მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართია 20, 22 და 40 კვ.მ., 6-სართულიანი სახლის მეორე სართულზე, კედლის კარადებით, ტელეფონით, სარდაფით, აივნით, რომელსაც მიშენებული აქვს ორი რკინის კარადა. საერთო ფართი 120 კვ.მ. ტელ.: 38-37-43.

■ სამოთახიანი, არსტანდარტული, გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში, მეოთხე სართულზე, მეტრო „პოლიტექნიკურთან". ფასი 54 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

■ სამსართულიანი, კაპიტალური, კერძო სახლი სოფელ გალავანში საგურამოსთან, 1500 კვ.მ. ხეხილიანი ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ ოროთახიანი ტიპური, გარემონტებული ბინა საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი 24 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

ვიყიდი

■ ერთოთახიან ბინას ქალაქის ნებისმიერ რაიონში 1200 ლარის ფარგლებში. ტელ.: 23-26-84.

ვაქირავებ

■ ვერაზე, პეტრიაშვილის ქ. №3-ში სამოთახიან ბინაში ორ ოთახს. სტუდენტებზე ან ოჯახზე. ტელ.: 22-11-65. იკითხეთ ნანა. ფასი შეთანხმებით.

■ რამდენიმე წლით მიწისქვეშა გარაჟს ჯანდაცვის სამინისტროს ეზოში. ტელ.: 37-74-71.

■ ვერაზე 2-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს, გოგონებისთვის. ფასი 70 ლარი. ტელ.: 29-18-06.

■ საბურთალოზე, მეტროსადგურ „ოკაცირიძესთან" (უწინდელი „დელისი") ახლოს, რვასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ერთოთახიან, იზოლირებულ, უტელეფონო ბინას, თვეში 90 ლარად. ტელ.: 74-48-92.

■ ოროთახიან ბინას, ტელეფონით, ავეჯით, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე (კომისარიატის თავზე). ტელ.: 37-29-15 (დათო).

■ 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას, ფალიაშვილის №25-ში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-65-88.

■ ერთ სართულს ორსართულიან კერძო სახლში, საერთო ფართი 150 კვ.მ. 200 კვ.მ. ეზო, საოფისედ, საბურთალოზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ ოროთახიან ბინას ლოჯით, ტელეფონით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 37-23-78.

■ ახვლედიანის ქუჩაზე (ყოფილი პეროვსკაია), ყოფილი ვერის ბაზრის გვერდით 18 კვ.მ. ოთახს ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. ტელ.: 93-44-05.

ვცვლი

■ ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე „კავკასიის ბირჟის" პირდაპირ, ასევე ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინაზე მეტრო „დელისის" მიდამოებში თანხის დამატებით. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06 31-76-07.

■ 5 ოთახიან გარემონტებულ და 1,5 გასარემონტებელ (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ბინებს დიდუბის პანთეონთან ერთ სადარბაზოში მე-3 და მე-2 სართულებზე — ავტოფარეხით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონებით — საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურთალოზე. (შესაძლებელია საკუთარი სახლის ყიდვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ბინების გაყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-36.

■ თემქაზე მე-3 მიკრორაიონში ჩეხური პროექტის ოროთახიან ხუთი ბინას (მე-7 სართული, უტელეფონოდ) და დიდ დიღომში მე-3 მიკრორაიონში ახალ ბინას (მე-16 სართული), სამოთახიან „ბრუშჩოვკაზე". ვაჟა-ფშაველაზე ნებისმიერ ადგილას. ტელ.: 99-76-70. იკითხეთ ირა.

ავტობაზრუა

■ ვყიდი 6 ტონიან ბენზინმზიდს. ტელეფონი: 38-21-40. სამუშაო დღეებში დარეკეთ 7 საათის შემდეგ. იკითხეთ ირაკლი.

■ ვყიდი პრესტიჟულ ამერიკულ მანქანას „ფორდ-მერკური-მონარჭი". საწყისი ფასი 5000 ლარი. ტელ.: 34-72-36.

■ ვყიდი მანქანის კონდენციონერს, იაპონური, „სიტაჩი". ფასი 200 ლარი. ტელეფონი: 93-11-81 მარინა.

■ ვყიდი „ოპელ-სენატორს" 1986 წლის გამოშვება, ყავისფერი პერლამოტრი, კარგ მდგომარეობაში, ლუკით, ფასი 4000 ლარი. ტელეფონი: 39-54-14 (ქეთინო).

სხვადასხვა

■ ვყიდი ყავისფერ, არასტანდარტული წარმოების, შესანიშნავი ელერადობის პიანინოს „ბელორუსი" (ძალიან კარგ მდგომარეობაში). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-00-48.

■ ვყიდი მუხის კარ-ფანჯარას ჩარჩოებით. 12 კარები, 12 ფანჯარა. ფასი 1 კვ.მეტრი 80 ლარი. ტელ.: 22-65-33.

■ ვაწარმოებთ უცხოური და ე.წ. სამამულო წარმოების ელექტრო აგრეგატების (დიზელის და ბენზინის ძრავიანი ელექტროგენერატორების) კვალიფიციურ მომსახურებას და შეკეთებას. მოგვმართეთ ტელეფონით: 36-24-73; 96-92-78. დარეკეთ დილის და საღამოს საათებში. მისამართი: ზაზიშვილის (მონტინის) მესამე შესახვევი №16 ბ; ხილიანის №65.

■ ვყიდი „ლეჟაკის" ტიპის ფუტკრის ახალ სკებს, დაკომპლექტებული ჩარჩოებით და დასათბუნებელი ბალიშებით, 25 ცალს. ცნობებისთვის დარეკეთ: 95-73-08 — ვახტანგი.

■ ვყიდი საძინებელ ავეჯს „ლუდოვიკო" და „ავრორა" და 9-ფოთლიან „გორკას". ტელ.: 96-89-17, იკითხეთ ნუგზარი ან ილო.

■ ვყიდი ჩინურ ყავის სერვიზს „დრაკონი" 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-04-05, იკითხეთ ეკა.

■ ვყიდი გერმანულ პიანინო „როინიშს". ფასი შეთანხმებით; ფინურ რბილ სამეულს, გადაკრულს ხავერდის ნაჭრით. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 37-17-63.

■ ვყიდი იუგოსლავიურ კედელს „მირაჟი"; ბულგარულ საძინებელს „სოფიოს"; პოლონურ კედელს „დროცა"+რბილი სამეული+ხანერი მაგიდა; კედლის ძველებურ სარკეს 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78 ან 39-34-37.

■ ვყიდი „გარაჟის" რკინის კარებს, ზომა: სიგანე-2,7 მ. სიმაღლე-2,3 მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (საღამოს საათებში).

■ ვყიდი 2-ტონიან, უეანგავ ლითონის ავზს, ზომა 2 X 1 X 1, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (საღამოს საათებში).

■ მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში ბინაზე მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-96-24 (იზა).

■ პროფესიონალი მუსიკოსი აგიწყობთ ფორტეპიანოს. ტელ.: 38-96-24 (იზა).

■ მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. ტელ.: 23-13-41. იყიდება

■ ვყიდი გერმანულ აკორდეონს ფირმა „ველტმეისტერ". 120 ბანიანი, საკონცერტო. კაფეს და ,სახინკლის მაგიდებს და სკამებს, ყინულის კუბიკების გენერატორს, ხის ორი ცალ ყრუ კარს ჩარჩოებით 237X72. ტელ.: 37-74-71.

■ ვყიდი შეფუთულ გერმანულ კედელს „პაფელი" სამეულის, მაგიდისა და სკამების გარეშე. ფასი 1300 ლარი.ტელ: 78-76-86.

■ პროფესიონალი მძღოლები დაგეხმარებიან ავტომანქანების გადმოყვანაში ნებისმიერი ქვეყნიდან. ტელ.: 36-14-76; 99-55-15, საღამოს საათებში.

■ ვყიდი საძინებელს „ლუდოვიკო", სასადილო „რენესანსს". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-89-17. იკითხეთ ილო.

■ ვყიდი იმპორტულ სასადილო კომპლექტს „რენესანსს", ახალ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-79-27. თამილა.

■ ვყიდი კედელს „მირაჟი", კედლის ძველებურ სარკეს 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78, 31-89-48.

■ ვამზადებთ თერმო გადასაყვან სურათებს, ქაღალდიდან ყველა ტიპის და ფერის ქსოვილზე. აგრეთვე, ყველა სახის ეტიკეტებს და კალენდრებს. მისამართი: დ.უზნაძის 23. ტელ.: 95-69-17.

■ ვყიდი კუთხოვნებში ჩასმულ რკინის ბადეს (ლობეს ეზოსთვის, ნაკვეთისთვის), ბადე არის უეანგავი. მთლიანი სიგრძე 3 მეტრი, სიმაღლე 1 მ და 50 სმ. რაოდენობა 70 ცალი, თავისი მილებით. მილების ზომაა 2 მ და 80 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.

■ ვყიდი მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის, ეზოსთვის, ზომა 4X2. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.

■ ვყიდი პოლონურ სასადილო „გდანსკის". ახალი, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-45-97.

■ ვყიდი პოლონურ კედელს „დროროტა", თავისი რბილი სამეულით; სანერ მაგიდას, გასაშლელ მაგიდას. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78.

■ ვყიდი გერმანულ პიანინოს „როინიში". იუგოსლავიურ კედელს „მირაჟი"; ბულგარულ საძინებელს „სოფია", წიგნების კარადას, ხელგას, კედლის ძველებურ სარკეს 1X1,50. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-34-37, 39-16-78.

იყიდება
ჭავჭავაძის გამზირზე
საოფისე.
საერთო ფართი 80 კვ.მ.,
ფასი 88 000 ლარი.

ტ: 22-26-15
(ნებისმიერ დროს)
29-32-14 (10-18სთ.)
კონტაქტი
ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება
მისამართი:
პეტრიაშვილის ქუჩა 16
(გერმანული სკოლის
პირდაპირ)

იყიდება
ვერაზე
2-სართულიანი სახლი
საერთო ფართი 600 კვ.მ.
22 ოთახითა და 6 ტელეფონით.
საკუთარი ეზოთი (120 კვ.მ.)
ფასი 480 000 ლარი.

იყიდება
ვაკეში
საკუთარი სახლი
(საერთო ფართი 160 კვ.მ.)
ეზოთი (400 კვ.მ.)
ავტოფარეხით.
ფასი 87000 ლარი.

იყიდება
ვაკეში
2 1 ოთახიანი ბინა,
საერთო ფართი 150 კვ.მ.
(სარემონტო).
ფასი 87 500 ლარი

იყიდება
მრგვალ ბაღთან
3-ოთახიანი ბინა
უახლესი რემონტით.
ფასი 87 500 ლარი.

იყიდება
ვაკეში
2-ოთახიანი ბინა.
თანამედროვე ლამაზი
რემონტით.
ფასი 62 000 ლარი.

იყიდება ვაკეში კარგი
4-ოთახიანი ბინა
კარგ სართულზე.
ფასი 99 000 ლარი.

იყიდება
თბილისის კოლორიტულ
უბანში
რესტორანი მუშა
მდგომარეობაში.
ფასი 90 000 ლარი.

ვაწარმოებთ უცხოური და ე.წ. სამამულო წარმოების ელექტრო აგრეგატების (დიზელის და ბენზინის ძრავიანი ელექტროგენერატორების) კვალიფიციურ მომსახურებას და შეკეთებას. მოგვმართეთ ტელეფონით: 36-24-73; 96-92-78. დარეკეთ დილის და საღამოს საათებში. მისამართი: ზაზიშვილის (მონტინის) მესამე შესახვევი №16 ბ; ხილიანის №65.

დედა ლიდა, მეუღლე ირაკლი, შვილები ზურაბი, ნუცა, და მარინა, ძმა დათო, დედამთილი ნურა, მული ნათელა, მაზლი დათო, რძლები თეა მამუკაშვილი, ირინე გორგაძე, მაია საკაშვილი, სიძეები ტარიელ რამაზაშვილი, ზურაბ მათოზაშვილი, შვილიშვილი ირაკლი, მძახლები ომარ, სონია მამუკაშვილები, ბიძები, დეიდები, მამიდები ოჯახებით, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლალი სერგოს ასული
მკალავიშვილი-ალთუნაშვილი

პანაშვიდი 7,8 III, 4 სთ. გამოსვენება 9 III, 2 სთ.
მისამართი: ბაგები, წყნეთის გზატკეცილი № 4.

ავიაკომპანია „ორბი"

GEORGIAN AIRWAYS

ა.წ. 29 მარტიდან იწყებს რეგულარულ ფრენას „ბოინგ-737-300" ტიპის თვითმფრინავით მარშრუტით **თბილისი-კიევი-ამსტერდამი-კიევი-თბილისი**. რეისი შედგება ყოველი კვირის პარასკევ დღეს 9.00 საათზე თბილისის დროით.

ავიაკომპანია „ორბი" ა.წ. 3 აპრილიდან **„ბოინგ-737-300"** ტიპის თვითმფრინავით იწყებს პირდაპირი რეგულარული რეისის შესრულებას მარშრუტით თბილისი-პარიზი-თბილისი, ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს 8.50 საათზე თბილისის დროით.

ავიაკომპანია „ორბი" ა.წ. 3 აპრილიდან ტუ-134 ტიპის თვითმფრინავით იწყებს პირდაპირი რეგულარული რეისის შესრულებას მარშრუტით **თბილისი-პრაღა-თბილისი**, ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს 11.30 საათზე თბილისის დროით.

ავიაკომპანია „ორბი"-ს რეგულარული რეისებით თქვენ შეგიძლიათ ესტუმროთ საზღვარგარეთის შემდეგ ქალაქებს: ვენას, პარიზს, პრაღას, ბერლინს, ამსტერდამს, ათენს, სტამბოლს, თელ-ავივს, ლარნაკას, თეირანს, მოსკოვს, სანკტ-პეტერბურგს, ვოლგოგრადს, კიევს.

ავიაკომპანია „ორბი"-ს ყველა რეგულარულ რეისზე თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ შეღავათიანი ბილეთები საშუალოდ 10 პროცენტის ფასდაკლებით, ასევე, შეღავათიანი ბილეთები ტურისტული ჯგუფებისთვის.

ავიაკომპანია «ორბი»-ს საერთაშორისო რეისები ა.წ. 15 მარტიდან

რეისის №	მარშრუტი	დღეები	გამგზავრება	ჩასვლა	თვითმფრინავის ტიპი
930	თბილისი-მოსკოვი (ვნუკოვო)	2,3,5,6,7	11.10	12.50	ბ 737
929	მოსკოვი (ვნუკოვო)-თბილისი	2,3,5,6,7	14.30	18.00	ბ 737
930 *	თბილისი-მოსკოვი (ვნუკოვო)	4	11.10	12.50	ტუ 134
929 *	მოსკოვი (ვნუკოვო)-თბილისი	4	14.30	18.00	ტუ 134
936	თბილსი-მოსკოვი (ვნუკოვო)	1,3,4,5,6,7	13.25	14.50	ტუ 154
935	მოსკოვი (ვნუკოვო)-თბილისი	1,3,4,5,6,7	16.30	19.50	ტუ 154
6881	თბილისი-სტ.პეტერბურგი	4	13.10	15.40	ბ 737
6882	სტ.პეტერბურგი-თბილისი	4	17.40	21.50	ბ 737
6805	თბილისი-ვოლგოგრადი	1	09.00	09.40	ტუ 134
6806	ვოლგოგრადი-თბილისი	1	11.30	14.00	ტუ 134
6837	თბილისი-თელ-ავივი	7	22.00	22.50	ბ 737
6838	თელ-ავივი-თბილისი	1	00.50	05.35	ბ 737
1609	თბილისი-ათენი	2	09.00	10.05	ტუ 134
1610	ათენი-თბილისი	2	11.30	16.20	ტუ 134
1667	თბილისი-თეირანი	5	19.00	20.05	ტუ 154
1668	თეირანი-თბილისი	5	21.30	23.40	ტუ 154
1673	თბილისი-ბერლინი (ტეგელი)	1	18.00	20.00	ბ 737
1674	ბერლინი (ტეგელი)-თბილისი	1	22.15	06.15	ბ 737
1689	თბილისი-სტამბოლი	1	09.30	10.00	ბ 737
1690	სტამბოლი-თბილისი	1	12.00	16.30	ბ 737
1681	თბილისი-ვენა	6	10.00	13.20	ტუ 134
1682	ვენა-თბილისი	6	14.30	21.00	ტუ 134
1679	თბილისი-პრაღა	3	11.30	12.20	ტუ 134
1680	პრაღა-თბილისი	3	14.00	20.45	ტუ 134
1677	თბილისი-პარიზი	3	08.50	10.50	ბ 737
1678	პარიზი-თბილისი	3	12.25	20.00	ბ 737

* რეისი სრულდება სხვა ტიპის თვითმფრინავით

ცნობებისთვის მიმართეთ ავიაკომპანია «ორბი»-ს საბილეთო სააგენტოებს.

კროსვორდი



თარაზულად: 3. დიდი ფრინველი; 6. უკატრონო, უთვისტომო; 7. მრავალწლოვანი ტროპიკული მცენარე; 8. მთის მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა; 9. ხის ან რკინის კეტი, ცეცხლის საჩხრეკი; 11. წერის უნარის დაკარგვა; 12. ქალალდის ფული; 16. რისამე ბოლო ნაწილი; 19. მდინარის ან ზღვის ქვიანი ნაპირი; 22. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 23. ტროპიკული მარადმწვანე ხის — ფინიკის პალმის ნაყოფი; 26. ფერია, აიეტის ერთ-ერთი მეუღლე; 27. სპილენძის ხელსაბანი ჭურჭელი, იხმარებოდა ძველად; 29. ოფიციალური ან საზეიმო განცხადება; 31. ორხულობის ნაადრევი შეწყვეტა; 33. კლდის ნატეხი, რიყის ქვა; 34. თითის ძვლის ანთება; 36. სიძულვილი, ზიზღი ვისიმე მიმართ; 38. სიბნელის შიში, ხშირია ნევროზულ ბავშვებში; 41. განზრახვა, ჩანაფიქრი; 42. მკბენარა მწერი; 43. კაკალს გაცლილი წენგო; 44. ვაზის ულვაში, რომლითაც ის ეჭიდოს ეხვევა; 45. სურნელოვანი ნივთიერება;

შვეულად: 1. ახალი, ნორჩი ხე; 2. ულაგამო აღვირი; 4. ქალაქი აფრიკის კონტინენტზე; 5. წულიდან გაზების გამოყოფის პროცესი; 8. ზურგის მისაუდებელი ან საჯდომი ბალიში; 10. სათამაშო კოპის ზედა, ოდნავ ამოღრუებული მხარე; 13. დიდი ზომის თევზი; 14. სქესობრივი უძლურება; 15. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი; 16. დაჭაშნიკება; 17. ტერმინალურ მდგომარეობათა მკურნალობის მეთოდების ერთობლიობა; 18. ერთწლოვანი მცენარე გოგრისებრთა ოჯახისა; 20. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი; 21. გერმანელი დრამატურგი, რეჟისორი; 24. „მსარ; 25. ლეგენდა, თქმულება; 28. ფარფოჭუდიანი წვრილფეხა სოკო; 29. სწორი ხაზი, რომელიც აერთებს მრავალკუთხედის ორი არამომიჯნავე კუთხის წვეროებს; 30. ჩასუნთქვის დროს სასუნთქ გზებში სითხის, საქმლის ნაწილაკის მოხვედრა; 32. ხრიკი, ფანდი; 35. მოხარშული საქმლის სქელი წვენი; 37. ღვინის ღანლექი; 39. დაშავება, დაზიანება; 40. ამერიკული კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 7. შლიმანი 10. რეიტერი 11. ნესტანი 12. ავაზა 13. ედემი 14. ოჯალეში 15. გრანტი 17. კეფალი 18. გვადალახარა 19. ჯავახიშვილი 26. ფიფუტა 27. ანემია 28. ბახმარო 30. ემალი 31. გოთუა 32. ქორწილი 33. ანტუანი 34. კამელია.

ვერტიკალურად: 1. რაჭაზანი 2. აუტოდაფე 3. კლავირი 4. კინტო 5. ბრიზი 6. ტრამალი 8. ესკადრა 9. ფაზენდა 16. იაენანა 17. კურილია 20. ხარხარი 21. შეეალიე 22. ფირმანი 23. ისილეული 24. ფენომენი 25. დიფუზია 28. ბაქია 29. ოდიკი.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.